საქართველოს პარლამენტის წევრი

2013 წლის 5 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ დავით უსუფაშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 143-ე - 145-ე მუხლების შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ კანონპროექტს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ".

წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა განპირობებულია ზემოაღნიშნულ კანონში იმ ცვლილებათა შეტანის აუცილებლობით, რომელსაც იწვევს საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებათა ის ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

გთხოვთ, მსვლელობა მისცეთ წარმოდგენილ პროექტს და განიხილოთ დაჩქარებული წესით მისი განხილვის საკითხი.

პატივისცემით,

დავით ონოფრიშვილი

№ 07-3/231
05.09.2013
17 საათი